საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№139/11

„05“ ივლისი 2011 წ.

შ.პ.ს. "მარუხი-2008"-ს
თავმჯდომარეს, ბატონ გივი
ნადაშვილს.

ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარუხის გმირების ქუჩა №15-ში, შ.პ.ს. "მარუხი-2008"-ს დაგეგმილი აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობის პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. "გოდაკო +"-ის მიერ მიმდინარე წელს. იგი შეთანხმებულია ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, (იხ. ბრძანება №01/476. 15. 03. 2011.0წ.) საპროექტო ტერიტორიის რელიეფი ქანობიანია მიმართულებით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რის გამოც საპროექტო შენობა ტერასული ტიპისაა. კონსტრუქციულად შენობა წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სამი კარკასული ბლოკის ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ანტისეისმური ნაკერებით. ღერძებში "ა"÷"კ"; "1"÷"4", შენობა 9 სართულიანია. ნიშნულებზე -3.00 და ±0.00მ. განთავსებულია ავტოფარეხები, ხოლო დანარჩენ სართულებზე საცხოვრებელი ბინები. ღერძებში "ე"÷"ნ"; "5"÷"8", შენობა 7 სართულიანია. ღერძებში "დ"÷"ნ"; "9"÷"12", შენობა 6 სართულიანია. ნიშნულებზე 13.20 და 16.50მ. განთავსებულია ავტოფარეხები, ხოლო დანარჩენ სართულებზე საცხოვრებელი ბინები. წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით, საპროექტო შენობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მარუხის გმირების ქუჩა, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სამხრეთიდან შატბერაშვილის ქუჩა. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, საპროექტო შენობა დაფუძნდება მაღალი მზიდუნარიანობის უკუმშვად ძირითად ქანებზე, გამოფიტულ ქვიშაქვებზე ალევროლიტებისა და არგილიტების შუაშრეებით, რომელთა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგია:

- სიმკვრივე ρ=2.48ტ/მ^3; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=126კგ/სმ^2.

ზემოთ აღინიშნა, რომ საპროექტო შენობას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, რომლებამდეც მანძილები "ნ" და "ა" ღერძებიდან შესაბამისად 11 და 5მ.-ია.

შ.პ.ს. "მონოლითი" წარმოდგენილი მასალების გაანალიზებიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ საპროექტო საცხოვრებელი სახლი, მაღალი მზიდუნარიანობის უკუმშვად ძირითად ქანებზე დაფუძნების შედეგად არანაირ უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არ მოახდენს მეზობელ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი./

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე./